შპს „კავკასუს ონლაინის" (ს/კ 211380833) კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს „მაგთიკომის“ (ს/კ 204876606) მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს „მაგთიკომმა“ და შპს „კავკასუს ონლაინმა“ (კომისიაში წერილის რეგისტრაციის №შ-6/5728-15 11.08.2015), შპს „კავკასუს ონლაინის“ (ს/კ 211380833) კუთვნილი საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალებები და აპარატურა, რომელიც გამოიყენება მაუწყებლობის ტრანზიტი (IPTV), ციფრული სატელეფონო (VOIP) და ინტერნეტის საცალო მომსახურების საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის (მათ შორის ფიზიკური და კორპორატიული აბონენტებისათვის) მისაწოდებლად) შპს „მაგთიკომის“ (ს/კ 204876606) მიერ შეძენის განზრახვასთან დაკავშირებით.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2015 წლის 27 აგვისტოს №514/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს “მაგთიკომის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივების შეძენის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 5 ნოემბერი.

კომისიის 2015 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე მიღებული იქნა N680/19 გადაწყვეტილება კომისიის 2015 წლის 27 აგვისტოს №514/23 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად შპს “მაგთიკომის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივების შეძენის თაობაზე დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საკითხის განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომა გადაინიშნა 2015 წლის 12 ნოემბერს 15:00 საათზე.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 12 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრეოდნენ: ნ.ჭიაურელი - შპს „კავკასუს ონლაინის“ დირექტორი, გ.ჭელიძე - შპს „კავკასუს ონლაინის“ იურიდიული სამსახურის უფროსი, ვ.ქვილითაია - შპს „კავკასუს ონლაინის“ აქციონერთა კონსულტანტი, დ.კაპანაძე შპს „კავკასუს ონლაინის“ იურისტი, ე.მებონია - შპს „კავკასუს ონლაინის“ იურისტი, ა.გომიაშვილი - შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში, ი.მჟავანაძე - იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე, ა. ზოდელავა - შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, დ.ძიძიგური - შპს „მაგთიკომის“ იურისტი.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომებზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ (დ.გოგიჩაიშვილი) წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

შპს „მაგთიკომის“ მიერ შესაძენი შპს „კავკასუს ონლაინის“ საოპერაციო აქტივები შედგება შემდეგი ჯგუფებისგან:

1. ბოლო მომხმარებლებისთვის (მათ შორის კორპორატიული მომხმარებლებისთვის) შემდეგი საცალო მომსახურების: xDSL, FTTx, VOIP (ციფრული ტელეფონია), IPTV (სამაუწყებლო ტრანზიტი) (ერთობლივად მოხსენიებული როგორც “**საცალო და კორპორატიული მომსახურება**”) გასაწევად საჭირო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა (მათ შორის, საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა), მრავალსართულიან საცხოვრებელ თუ მულტიფუნქციურ შენობებში არსებული წვდომის კვანძები აქტიური აპარატურით, ენერგო კვების სისტემითა და პასიური ელემენტებით, აბონენტთან განლაგებული სააბონენტო მოწყობილობები, სვიჩი, სეტ ტოპ ბოქსები და უკაბელო აქსეს პოინტები, აგრეთვე ოპტიკური ქსელის ტერმინალური მოწყობილობები;
2. ქსელის აგრეგაციის კვანძებზე, რომელშიც განლაგებულია ქსელური კომუტაციის აპარატურა: კომუტატორები, როუტერები, კვებისსისტემა, OLT-ები თავისი პასიური კომპონენტებით საკუთრების უფლება ანსარგებლობის უფლება (იმ შემთხვევაში, როცა შპს „კავკასუს ონლაინს“ არ აქვს საკუთრების უფლება და სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვს მესამე პირებისაგან);
3. ქ. თბილისში არსებული მიწისქვეშა საკომუნიკაციო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა მასში განლაგებული კაბელებით, გარდა იმ ინფრასტრუქტურისა, რომელიც გამოყენებულია მაგისტრალური ქსელის ფუნქციონირებისათვის, ან რომელიც გადაცემულია მესამე პირებისათვის (მათ შორის ავტორიზებული პირებისათვის) სარგებლობის უფლებით;
4. ქსელის ცენტრალურ კვანძებში განლაგებული მარშრუტიზატორები, სერვერები, IPTV headend, სააბონენტო სატელეფონო მომსახურების class 5 soft switchდამისიკომპონენტები;
5. საბილინგოსისტემა;

6. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვები სრულად, გარდა საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად საჭირო 1007 ნუმერაციის რესურსის ნებართვისა;
7. თბილისში, წინამძღვრიშვილის 160-ში მდებარე კვანძისა და რუსთავის კვანძის დამაკავშირებელი მაგისტრალური კაბელის ექვსი ცალი ოპტიკური ღერი;
8. თბილისში სატელევიზიო სიგნალის მიმღები თეფშების ფერმა;

შპს „მაგთიკომისთვის“ გადასაცემი აქტივების სიაში არ შედის ყველა სხვა აქტივი, მათ შორის და არა მხოლოდ:

(i) შავი ზღვის კაბელი, მასთან დაკავშირებული ტერმინალები და აპარატურა;
(ii) საქალაქთაშორისო ოპტიკური ინფრასტრუქტურა და შესაბამისი აპარატურა (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება DWDM-ით);
(iii) ფოთში არსებული საკომუნიკაციო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა;
(iv) რადიო სიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიები (F14, F6, F46);
(v) ანძები და მათზე განლაგებული ნებისმიერი აპარატურა;

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „კავკასუს ონლაინი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.
სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.5. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ანძების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.
საბილინგო მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სააბონენტო (მომხმარებელთა) მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

აბონენტების (ბოლო მომხმარებლების) ინდივიდუალური დაშვების სისტემის საშუალებების (ციფრული ტელევიზიის) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით, მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

მონაცემთა დამუშავების ინტერნეტ ცენტრის შესაბამისი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.S.1. თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.1. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება
ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

კომუტირებადი არხებით ინტერნეტ მომსახურება (dial-up)

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL)
ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
WiFi
სხვა

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი
რადიომაუწყებლობის ტრანზიტი

B.F.6. გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

B.S.2. ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

B.S.3. თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „კავკასუს ონლაინი" ასევე ფლობს შემდეგ ლიცენზიებს:

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F14 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 5945.2 მჰც ± 14 მჰც, 6093.450 მჰც ± 14 მჰც, 6197.240 მჰც ± 14 მჰც და 6345.490 მჰც ± 14 მჰც;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 14 იანვრამდე;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F6 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 5250 მჰც - 5350 მჰც;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 21 თებერვალი;
გ) ლიცენზიის მფლობელი უნდა შეეგუოს ლიცენზიაში გათვალისწინებულ სიხშირეზე საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) რეგლამენტის შესაბამისად მომუშავე სამსახურებიდან (დედამიწის კვლევის თანამგზავრული სამსახურები, რადიოლოკაციის და კოსმოსური კვლევის სადგურები) გამოწვეულ რადიოხელშეშლებს (მათი არსებობის შემთხვევაში), ხოლო ლიცენზიის მფლობელის მიერ აღნიშნული სამსახურებისთვის ხელშეშლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში უნდა შეაჩეროს თავისი საქმიანობა;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F46 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი რადიოსარელეო კავშირებისათვის შემდეგ სიხშირულ ზოლებზე:

ა.ა 5974.85 მჰც ± 14.5 მჰც და 6226.89 მჰც ± 14.5 მჰც;
ა.ბ 6004.5 მჰც ± 14.5 მჰც და 6256.54 მჰც ± 14.5 მჰც;
ა.გ 6034.15 მჰც ± 14.5 მჰც და 6286.19 მჰც ± 14.5 მჰც;
ა.დ 6063.8 მჰც ± 14.5 მჰც და 6315. 84მჰც ± 14.5 მჰც.

ბ) რადიოსარელეო სადგურების განთავსების კოორდინატები:

ბ.ა) თბილისი	41˚45’ 34’’	44˚55’ 48’’
ბ.ბ) მცხეთა	41˚49’ 46’’	44˚41’ 08.3’’
ბ.გ) გორი	42˚00’ 25’’	44˚02’ 26’’
ბ.დ) დედაბერა	42˚09’ 12’’	43˚31’ 28’’
ბ.ე) ზესტაფონი	42˚06’ 36.7’’	43˚00’ 55’’
ბ.ვ) გურია	42˚03’ 58’’	42˚13’ 04’’

ბ.ზ) მწვანე კონცხი 41˚41’ 38’’ 41˚42’ 54’’

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2007 წლის 12 თებერვლიდან - 2017 წლის 12 თებერვლამდე;
დ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 1(ერთი) წელი;

შპს „კავკასუს ონლაინი“ ასევე ფლობს:

ა) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 170 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:
ა) ნუმერაციის რესურსი: 200 XX XX (სულ 10 000 სააბონენტო ნომერი) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურების ორგანიზებისა და ფიქსირებული აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისთვის ქ. თბილისში;
ბ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისა და ნუმერაციის რესურსის 10%-ს ათვისების ვალდებულება: ლიცენზიის გაცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;
გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში;

ბ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 174 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 200XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით ორგანიზებისა და ფიქსირებული აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისთვის ქ. ფოთში;
ბ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისა და ნუმერაციის რესურსის 10%-ს ათვისების ვალდებულება: ლიცენზიის გაცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;
გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში;
გ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 26 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-0-7 (რვა-ნული-შვიდი) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 1-0-0-7 (ერთი-ნული-ნული-შვიდი) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა 22.01.2022 წ- მდე;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

დ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 75 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 427XXX-429XXX ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 2427XXX-2429XXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 13 ოქტომბრამდე;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ე) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 78 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა)ნუმერაციის რესურსი 1-8-9-0-6 (ერთი-რვა-ცხრა-ნული-ექვსი) შეიცვალოს ნუმერაციის რესურსით 1-7-0-0-6 (ერთი-შვიდი-ნული-ნული-ექვსი);

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 24.11.2016-მდე;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 79 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-0-5-1 (რვა-ნული-ხუთი-ერთი) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 1-0-5-1 (ერთი-ნული-ხუთი-ერთი) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 24.11.2016-მდე;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

შპს "კავკასუს ონლაინი" ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ ნებართვებს:
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N7** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: 220XXXX (სულ ათი ათასი სააბონენტო ნომერი) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N13** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: 900 000 060-დან - 900 000 089-ის ჩათვლით (სულ ოცდაათი სააბონენტო ნომერი) ინტელექტუალური ქსელებით, დამატებული ღირებულების (გარდა საქველმოქმედო,

მოზრდილთათვის და ავტომატური ინტერაქტიული მომსახურებებისა) მომსახურებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N41** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: 800 100 110-800 100 159 (სულ ორმოცდაათი სააბონენტო ნომერი) ინტელექტუალური ქსელებით (უფასო) მომსახურებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N51** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: სულ 5000 (ხუთი ათასი) სააბონენტო ნომერი (995 32 2480 XXX-995 32 2484 XXX) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N97** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: სულ 1000 (ათასი) სააბონენტო ნომერი 200 XXX ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ქ.ბათუმი
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N141** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: სულ 5 000 (ხუთი ათასი) სააბონენტო ნომერი (250 50 00-250 99 99) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N169** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: სულ 2 000 (ორი ათასი) სააბონენტო ნომერი (995 415 20 00 00-995 415 20 19 99) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N189** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: სულ 1000 (ათასი) სააბონენტო ნომერი 200 XXX ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ქ.ქუთაისი;
კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს "კავკასუს ონლაინი" "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 64 მუხლის მე-18 პუნქტის საფუძველზე მართლზომიერად ფლობს შემდეგ ნუმერაციის რესურსს:
2970XXX-2974XXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
2427XXX-2429XXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
200 XX XX (სულ 10 000 სააბონენტო ნომერი) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურების ორგანიზებისა და ფიქსირებული აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისთვის ქ. თბილისში;
200XXX ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით ორგანიზებისა და ფიქსირებული აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისთვის ქ. ფოთში;
საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად **1-0-0-7** (ერთი-ნული-ნული-შვიდი) და 1-0-5-1 (ერთი-ნული-ხუთი-ერთი);

დეპეშების და ფაქსების ტელეფონით მიღება და სხვა ტელემატიკური მომსახურების განსახორციელებლად **1-7-0-0-6** (ერთი- შვიდი-ნული-ნული-ექვსი).
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N209** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: სულ 5 000 (ხუთი ათასი) სააბონენტო ნომერი (297 00 00 - 297 49 99) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილო-ბების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის **№N245** ნებართვა, შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: 1-6-3-3-3 (ერთი-ექვსი-სამი-სამი-სამი) ავტორიზებული საქმიანობისას, არასატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად;
ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.5. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.M.1. ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელისშესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

GSM
WCDMA
CDMA

A.S.1. თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული სააბონენტო დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.1. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება
ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL)
ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
WiMax
WiFi
CDMA
3G

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი
რადიომაუწყებლობის ტრანზიტი

B.M.1. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
როუმინგული კავშირით მომსახურება

B.M.2. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით მომსახურება

ტექსტური შეტყობინების მომსახურება
მულტიმედიური მომსახურება
ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა)
მოძრავი ინტერნეტ მომსახურება

მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება
სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება
ადგილობრივი და მოძრავი

B.S.1. მოძრავი თანამგზავრული სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

მოძრავი თანამგზავრული სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.S.2. ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

B.S.3. თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

B.S.4. თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება

თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება

B.S.5. სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება

სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომი" ასევე ფლობს ლიცენზიებს შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F2 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

1 რადიოსიხშირული სპექტრი: 1910- 1915 მჰც;

ა) ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლება: 2016 წლის 2 ივნისამდე;
ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2019 წლის 17 ივნისამდე;
გ) უზრუნველყოს შპს "მაგთიკომმა" 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად და ავტორიზებული საქმიანობისთვის;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1920-1935 მჰც 2110-2125 მჰც (სულ 30 (2 x 15) მჰც);

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე;

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F15 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 901.8-915 მჰც და 946.8-960 მჰც (სულ 26.4 (2x13.2) მჰც);

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე;

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F16 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1740.1- 1770 მჰც და 1835.1-1865 მჰც (სულ 59.8 (2 x 29.9) მჰც);
ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე;

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F35 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: რადიოსიხშირეები 7226.0 მჰც, 7387.0 მჰც და 7247.0 მჰც, 7408.0 მჰც, თითოეული ზოლის სიგანით ±14 მჰც, რადიოსარელეო კავშირებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2019 წლის 17 ივნისამდე;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F41 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 3410.0 მჰც ÷ 3431.0 მჰც და 3510.0 მჰც ÷ 3531.0 მჰც სიხშირული ზოლები კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2017 წლის 12 იანვრამდე;
გ) 2007 წლის 12 იანვრიდან სამი წლის განმავლობაში არანაკლებ ერთი გადამცემით მომსახურება შემდეგ რეგიონებში:
რეგიონი 1: ქ.თბილისი;
რეგიონი 2: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
რეგიონი 3: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარელის რაიონები;
რეგიონი 4: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის, რაიონები;
რეგიონი 5: გორის, კასპის, ქარელის,ხაშურის, ცხინვალის, ჯავის რაიონები;
რეგიონი 6: ქ.რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი-წყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები;
რეგიონი 7: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები;
რეგიონი8: ქ.ქუთაისი, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის რაიონები;
რეგიონი 9: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები;
რეგიონი 10: ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის რაიონები;
რეგიონი 11: ქ.ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონები;
რეგიონი 12: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;
დ) უზრუნველყოს შპს „მაგთიკომმა" კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებულ "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმასა" და საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ლიცენზიით გათვალისიწნებული საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებულ "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმასთან

შპს „მაგთიკომი" ასევე ფლობს:

ა) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 14 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-9-0 (რვა-ცხრა-ნული) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 7-9-0 (შვიდი-ცხრა-ნული) უსადენო შეღწევის სისტემის ქსელებით, მათ შორის, ფიჭური პრინციპით მომუშავე ქსელებში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელებში აბონენტების ტერ-მინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 17.06.2019 წ.-მდე

ბ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 15 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 26XXXX ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 226XXXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;

ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 10XXX ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 210XXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. ქუთაისი;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 17.06.2019 წ.-მდე

გ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 171 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 5-9-9 (ხუთი-ცხრა-ცხრა) არაგეოგრაფიული ნუმერაციის ზონის კოდიდან დანართი N1-ით განსაზღვრული 100 000 (ასი ათასი) სააბონენტო ნომერი ფიჭური ორგანიზების მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირით მომსახურების უზრუნველყოფისთვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფი-ცირებისათვის;

ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისა და ნუმერაციის რესურსის 10%-ს ათვისების ვალდებულება: ლიცენზიის გაცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში;

ე) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 09.12.2021 წ.-მდე

დ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 53 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 44XXXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 244XXXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა 12.02.2019 წ- მდე ;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ე) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 59 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი 8-9-9 (რვა-ცხრა-ცხრა) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 5-9-9 (ხუთი-ცხრა-ცხრა) ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის ქსელებით მომსახურების ორგანიზებისათვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისა-თვის;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა 10.07.2016 წ-მდე;

ვ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 60 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-9-8 (რვა-ცხრა-რვა) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 5-9-8 (ხუთი-ცხრა-რვა) ფიჭური სისტემის მობი-ლური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის ქსელებით მომსახურების ორგანიზებისათვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა 12.05.2019 წ-მდე;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან

ზ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 71 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 175XXX-177XXX ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 2175XXX-2177XXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 11 აგვისტომდე;

გ) ნუმერაციის რესურსის 10%-ს ათვისების ვალდებულება: ლიცენზიის გაცემიდან 1 (ერთი) წელი;

თ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 72 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-9-1 (რვა-ცხრა-ერთი) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 5-9-1 (ხუთი-ცხრა-ერთი) ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის ქსელებით მომსახურების ორგანიზებისათვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისა-თვის;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 11.08.2016 წ- მდე;

დ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 1(ერთი) წელი;

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შეცვლის ან/და ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, ქსელის ნუმერაციის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

შპს „მაგთიკომი“ ასევე ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ ნებართვებს: №N9 (გაცემის თარიღი 06.04.2012), №N10 (გაცემის თარიღი 06.04.2012), №N11 (გაცემის თარიღი 06.04.2012), №N34 (გაცემის თარიღი 29.06.2012), №N35 (გაცემის თარიღი 06.07.2012), №N73 (გაცემის თარიღი 14.09.2012), №N75 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N76 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N77 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N78 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N99 (გაცემის თარიღი 28.12.2012), №N101 (გაცემის თარიღი 11.01.2013), №N103 (გაცემის თარიღი 18.01.2013), №N104 (გაცემის თარიღი 18.01.2013), №N96 (გაცემის თარიღი 25.01.2013), №N128 (გაცემის თარიღი 12.04.2013), № N172 (გაცემის თარიღი 15.11.2013), №N176 (გაცემის თარიღი 06.12.2013), №N177 (გაცემის თარიღი 27.12.2013), №N182 (გაცემის თარიღი 20.02.2013), №N184 (გაცემის თარიღი 06.03.2014), №N187 (გაცემის თარიღი 11.04.2014), №N199 (გაცემის თარიღი 27.08.2014), №N201 (გაცემის თარიღი 09.10.2014); №N216 (გაცემის თარიღი 26.02.2015); №N222 (გაცემის თარიღი 02.04.2015); №N226(გაცემის თარიღი 30.04.2015); №N230(გაცემის თარიღი 16.06.2015); №N235, №N236, №N237 (გაცემის თარიღი 23.07.2015); №N246, №N247, №N248 (გაცემის თარიღი 20.08.2015; №N252 (გაცემის თარიღი 12.11.2015); №N255 (გაცემის თარიღი 26.11.2015).

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს „კავკასუს ონლაინის“ წერილებით (კომისიაში წერილის რეგისტრაციის №შ-6/5728-15 11.08.2015, №შ-6/7220-15 25.09.2015 და №შ-6/7358-15 01.10.2015), კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინის“ საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინის“ აბონენტთა რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის ან აქციების მფლობელთა შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინისა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის გაფორმებული წინასწარ შეთანხმებული პირობების შესახებ;
- კომპანიაში დღეის მდგომარეობით არსებული სამაუწყებლო სატრანზიტო (IPTV), ციფრული სატელეფონო (VOIP) და ინტერნეტის საცალო მომსახურების დეტალური აღწერა;
- კომპანიის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვა ავტორიზებული პირებისათვის გაწეული რეგულირებადი საბითუმო მომსახურების დეტალური დახასიათება;
- კომპანიის მფლობელობაში არსებული ქსელების დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ძირითადი მომწოდებლების სიის შესახებ, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში აღემატება 1 000 000 ლარს;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესახებ;
- ინფორმაცია მიმდინარე დავების შესახებ;
- ინფორმაცია საბანკო სესხების შესახებ;

- საოპერაციო აქტივის შეძენასთან დაკავშირებით შპს „კავკასუს ონლაინის“ აქციონერთა ან/და პარტნიორთა კრების ოქმი.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მაგთიკომის“ წერილებით (კომისიაში წერილის რეგისტრაციის №შ-6/5728-15 11.08.2015, №შ-6/7182-15 24.09.2015 და №შ-6/7211-15 25.09.2015), კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ აბონენტთა რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ წილის ან აქციების მფლობელთა შესახებ;
- ინფორმაცია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ბიზნეს სტატეგიული გეგმების შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინისა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის გაფორმებული წინასწარ შეთანხმებული პირობების შესახებ;
- საოპერაციო აქტივის შეძენასთან დაკავშირებით შპს „მაგთიკომის“ აქციონერთა ან/და პარტნიორთა კრების ოქმი.
- კომპანიის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვა ავტორიზებული პირებისათვის გაწეული რეგულირებადი საბითუმო მომსახურების დეტალური დახასიათება;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ძირითადი მომწოდებლების სიის შესახებ, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში აღემატება 1 000 000 ლარს;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესახებ;
- ინფორმაცია იმ სამომავლო გეგმის ჩამონათვალის შესახებ, რომელიც უკავშირდება შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ საოპერაციო აქტივების შეძენას;
- ინფორმაცია გარემოებების შესახებ, რამაც უკვე გამოიწვია ან შესაძლოა გახდეს გაკოტრების მიზეზი;
- ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე;
- ინფორმაცია მიმდინარე დავების შესახებ;
- ინფორმაცია საბანკო სესხების შესახებ;
- ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებულ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე;
- ინფორმაცია ჯარიმების შესახებ, რომლებიც კომპანიას დააკისრა საგადასახადო ორგანომ.

კომისია აღნიშნავს, რომ ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლები გამოიყენება:

ა) თუ ხდება ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივის შეძენა;

ბ) თუ შერწყმის შედეგად ერთიანდება ორი ან მეტი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი ავტორიზებული პირია;

გ) თუ ხდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების შეძენა და თუ მათი შეძენის შედეგად შემძენი პირის ან/და ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში აღმოჩნდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5 პროცენტი ან მეტი.

<u>შპს „კავკასუს ონლაინის“ აფილირება</u>

კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 2015 წლის 11 სექტემბრის №შ-10/6635-15 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით, შპს „კავკასუს ონლაინის" დირექტორია ნიკოლოზ ჭიაურელი. შპს „კავკასუს ონლაინის" 44%-ის წილის მფლობელია შპს „გროუს მასთერს ჰოლდინგზი", „ნელგადო ლიმითედი" ფლობს წილის 19,8%-ს, 36,2%-ის წილის მფლობელია „ინთერნეიშენელ ონლაინ ნეთვორქსი".



„გროუს მასტერ ჰოლდინგზ აისი“ შპს „კავკასუს ონლაინის“ კაპიტალის 44%-ის მფლობელი წარმოადგენს საინვესტიციო ფონდს, რომლის ინვესტორთა ვინაობა არ არის ცნობილი მესამე პირთათვის.

„ნელგადო ლიმითედის" წილის მფლობელები ფიზიკური პირები: რევაზ ელიავა, ხვიჩა მაქაცარია და დავით ზურაბიშვილი კომისიის უწყებრივ რეესტრში არ ფიქსირდებიან.

<u>შპს „მაგთიკომის“ აფილირება</u>

შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილეები არიან ანდრია ზოდელავა, გია კოშორიძე, ნათია კახიძე, გიორგი აფაქიძე და არჩილ გომიაშვილი. შპს „მაგთიკომის“ 51%-ის წილის მფლობელია შპს „ინტერნეიშენელ ტელსელ სელულარი“ და 49%-ის წილის მფლობელია შპს „ტელსელ უაირლეს კომპანი“.

კომისია აღნიშნავს, რომ კომპანიების შპს „ინტერნეიშენელ ტელსელ სელულარის“ და შპს „ტელსელ უაირლეს კომპანიის“ აფილირება სხვა კომპანიებთან არ დგინდება.

შპს „ტელსელ უაირლეს კომპანიის“ ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ინგა გუდავაძე, ლიანა ჟმოტოვა, ზურაბ გოჯიაშვილი, ალექს ანჩაბაძე, ნოდარ აღდგომელაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ზურაბ გოჩიტაშვილი, თინათინ ლომაძეს, ეკატერინე არდგომელაშვილი, ლეილა გაჩეჩილაძე, ნინო ვასილევა, მაია ჭავჭანიძე, გიორგი ჯოხთაბერიძე, ნეთელა პატარკაციშვილი, ლია პატარკაციშვილი, ჯამალ ხანი, ალან მაკინტოში, ედვარდ სპენსერ ჩერჩილი, დევიდ როსსი, ჰიუ ოსმონდი, მარკ ჯონასი და კომპანია „Capital Management & Investment PLC“.

შპს „ტელსელ უაირლეს კომპანიის“ ზემოაღნიშნული ბენეფიციარებიდან: ზურაბ გოჯიაშვილი, ალექს ანჩაბაძე, ნოდარ აღდგომელაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ზურაბ გოჩიტაშვილი, თინათინ ლომაძეს, ეკატერინე არდგომელაშვილი, ლეილა გაჩეჩილაძე, ნინო ვასილევა, მაია ჭავჭანიძე, გიორგი ჯოხთაბერიძე, ნეთელა პატარკაციშვილი, ლია პატარკაციშვილი, ჯამალ ხანი, ალან მაკინტოში, ედვარდ სპენსერ ჩერჩილი, დევიდ როსსი, ჰიუ ოსმონდი, მარკ ჯონასი და კომპანია „Capital Management & Investment PLC“ კომისიის უწყებრივ რეესტრში საერთოდ არ ფიქსირდებიან, ხოლო ინა გუდავაძე არის შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპში“ 100%-ის წილის მფლობელი და ლიანა ჟმოტოვა არის შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ დირექტორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება აფილირება შპს „მაგთიკომსა" და შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ შორის. შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ თავის მხრივ წარმოადგენს შპს „ტელეიმედის“ და შპს „რადიო იმედის“ 100 % წილის მფლობელს. შპს „ტელეიმედი“ საქართველოში ეწევა ტელემაუწყებლობას, ხოლო შპს „რადიო იმედი“ რადიომაწუყებლობას, არც შპს „ტელეიმედი“ და არც შპს „რადიო იმედი“ ა) ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების; ბ) VOIP საცალო სატელეფონო მომსახურების და გ) ინტერნეტ ტელევიზიის ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არ საქმიანობენ.

კონკურენციი ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნა: რადგან არც შპს „მაგთიკომის“ და არც მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები არ საქმიანობენ ა) ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების; ბ) VOIP საცალო სატელეფონო მომსახურების და გ) ინტერნეტ ტელევიზიის ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე, ამიტომ საბაზრო წილების გასაანგარიშებლად გამოყენებული იქნა მხოლოდ შპს „კავკასუს ონლაინის“ მიმდინარე საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლო ტრანზაქციის შემდგომ შპს „მაგთიკომის“ ბაზრის შესაბამის სეგმენზე საბაზრო ხვედრითი წილი ტრანზაქციის განხორცილებამდე შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო წილის ტოლი იქნება.

კომისიის 2015 წლის 27 აგვისტოს N 514/ 23 გადაწყვეტილებით შპს “მაგთიკომის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივების შეძენის განზრახვიდან გამომდინარე, ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის გამოკვლევის მიზნით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოიკვეთა, შპს „კავკასუს ონლაინის“ მნიშვნელოვანი საბაზრო წილი შემდეგ საცალო მომსახურებებზე:

ა) ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურება

შპს „კავკასუს ონლაინი“ მომხმარებლებს ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურებას Fiber და xDSL ტექნოლოგიით აწვდის. კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინი“ აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ცნობილია საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად. შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო ხვედრითი წილი მთლიანად ქვეყნის მაშტაბით 2013 იანვრიდან 2015 წლის ივნისის მონაცემებით შემოსავლების მიხედვით შეადგენს 40 %-ს, ხოლო აბონენტების მიხედვით - 34%-ს.

შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო ხვედრითი წილი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია ცხრილი N 1- ში:

ცხრილი N 1

FIBER - ოპტიკურ ბოჭკოვანი	საბაზრო წილი შემოსავლების მიხედვით	საბაზრო წილი აბონენტების მიხედვით

თბილისი	59,29%	62,98%
ბათუმი	7,97%	5,07%
გორი	4,97%	0,13%
დუშეთი	15,65%	9,09%
ზესტაფონი	28,77%	0,51%
ზუგდიდი	91,26%	86,89%
მარნეული	19,43%	1,56%
მცხეთა	1,31%	0,1%
ოზურგეთი	10,19%	2,04%
რუსთავი	18,86%	15,02%
სამტრედია	7,59%	0,46%
საჩხერე	100%	100%
სენაკი	24,70%	1,50%
ფოთი	73,80%	60,93%
ქუთაისი	7,58%	0,28%
ჭიათურა	19,71%	0,38%
ხაშური	38,97%	3,31%

DSL - სპილენძის წყვილები	საბაზრო წილი შემოსავლების მიხედვით	საბაზრო წილი აბონენტების მიხედვით
თბილისი	16,60%	2,14%
ბათუმი	5,63%	1,26%
გორი	5.75%	0.42%
ბორჯომი	0,60%	0,01%
ზესტაფონი	3,05%	0,01%
ზუგდიდი	1,78%	0.01%
მარნეული	21.01%	0.22%
მცხეთა	6.49%	0.01%
ოზურგეთი	1.95%	0.08%
რუსთავი	20,34%	3,36%
სამტრედია	0,89%	0,01%
ქობულეთი	0,70%	0,13%
სენაკი	1,65%	0,01%
ფოთი	2,16%	0,01%
ქუთაისი	6,23%	2,08%
ხაშური	99,56%	99%

შენიშვნა: ინფორმაცია წილების შესახებ მომზადებულია ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის 2015 წლის N 7-10/6813-15 სამსახურებრივი ბარათით წარმოდეგენილი მონაცემების მიხედვით

ბ) VOIP საცალო სატელეფონო მომსახურება

VOIP საცალო სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კომისიის გადაწყვეტილებით არ რეგულირდება. შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო ხვედრითი წილი მთლიანად ქვეყნის მაშტაბით 2013 იანვრიდან 2015 წლის ივნისის მონაცემებით შემოსავლების მიხედვით შეადგენს 15 %-ს, ხოლო აბონენტების მიხედვით 7 %-ს. შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო ხვედრითი წილი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია ცხრილი N 2- ში:

ცხრილი N 2

	საბაზრო წილი შემოსავლების მიხედვით	საბაზრო წილი აბონენტების მიხედვით
თბილისი	15%	5%
ბათუმი	5%	2%
ზუგდიდი	91%	93%
რუსთავი	1%	1%
საჩხერე	16%	33%
ფოთი	50%	39%
ქუთაისი	1%	3%
ყვარელი	60%	75%

შენიშვნა: ინფორმაცია წილების შესახებ მომზადებულია ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის 2015 წლის N 7-10/6813-15 სამსახურებრივი ბარათით წარმოდეგენილი მონაცემების მიხედვით.

გ) მაუწყებლობის ტრანზიტი (IPTV)

მაწყებლობის ტრანზიტი (IPTV) საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კომისიის გადაწყვეტილებით არ რეგულირდება. საბაზრო ხვედრითი წილი შემოსავლების მიხედვით შეადგენს 41 %-ს, ხოლო აბონენტების მიხედვით 32 %-ს;

შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო ხვედრითი წილი მთლიანად ქვეყნის მაშტაბით 2013 იანვრიდან 2015 წლის ივნისის მონაცემებით შემოსავლების მიხედვით შეადგენს 41 %-ს, ხოლო აბონენტების მიხედვით 32 %-ს. შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო ხვედრითი წილი ქალაქებისა და მინიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია ცხრილი N 3- ში:

ცხრილი N 3

	საბაზრო წილი შემოსავლების მიხედვით	საბაზრო წილი აბონენტების მიხედვით
თბილისი	30.84%	40,11%
ბათუმი	8.08%	26.93%
ზუგდიდი	88,02%	85,95%
რუსთავი	44,72%	55,69%
ფოთი	79,36%	63,70%

შენიშვნა: ინფორმაცია წილების შესახებ მომზადებულია ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის 2015 წლის N 7-10/6813-15 სამსახურებრივი ბარათით წარმოდეგენილი მონაცემების მიხედვით.

კონკურენციი ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნა: შპს „მაგთიკომი“ და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები ა) ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების; ბ) VOIP საცალო სატელეფონო მომსახურების და გ) ინტერნეტ ტელევიზიის ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არ საქმიანობენ შესაბამისად შესაძლო ტრანზაქცია ბაზრის შესბამის სეგმენტებზე საბაზრო ხვედრითი წილების ცვლილებას არ იწვევს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ზემოთ აღნიშნული საცალო მომსახურებები შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ მომხმარებლებს მიეწოდებათ, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად („Bundling“) - მრავალჯერად (კომბინირებული) შეთავაზების გზით.

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ კომბინირებული შეთავაზებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი შპს „კავკასუს ონლაინის“ კომბინირებულ შეთავაზებაში შემავალი: ა) ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების; ბ) VOIP საცალო სატელეფონო მომსახურების

და გ) ინტერნეტ ტელევიზიის მომსახურებების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების ჯამის 34,24 % -ს შეადგენს.

შპს „მაგთიკომის“ განმარტებით, შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის მის მიერ შეძენის შემთხვევაში საცალო მომსახურების მომხმარებლებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა არ შეეზღუდებათ. მომხმარებლებს ექნებათ შესაძლებობა აირჩიონ, როგორც ყველა შეთავაზებული მომსახურება ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე ამასთან, პაკეტში შემავალი მომსახურებების ღირებულებების ჯამი არ იქნება ასეთი მომსახურებების მრავალჯერადი შეთავაზების გზით მიწოდებული პაკეტის ღირებულებაზე უფრო ძვირი.

შპს „მაგთიკომის“ შპს „კავკასუს ონლაინის“ აქტივების შესყიდვის შემდგომი საოპერაციო გეგმები

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „მაგთიკომმა“ 2015 წლის 25 სექტემბრის N15/178-4 წერილით კომისიას აცნობა, რომ შპს „კავკასუს ონლაინის“ აქტივების შესყიდვის შემდგომ შპს „მაგთიკომი“ უპირველეს ყოვლისა აქცენტირებას მოახდენს „კავკასუს ონლაინის“ მიერ მომხმარებლებისათვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შპს „მაგთიკომი“ განახორციელებს მომსახურების მიწოდებისას არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და უმოკლეს დროში მათ გამოსწორებას. შემდგომ ეტაპზე, შპს „მაგთიკომი“ გეგმავს DSL აბონენეტებისთვის მაღალსიჩქარინი (ოპტიკურ-ბოჭკოვან) ინტერნეტ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას.

შპს „მაგთიკომი“ აღნიშნავს, რომ რადგან შპს „მაგთიკომს“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ გააჩნიათ განსხვავებული ბიზნეს მიმართულებები. კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურებები განსხვავდება, როგორც მომსახურების მიწოდებისთვის გამოყენებულ ტექნოლოგიის და ასევე პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, შეძენილი აქტივების და მასთან დაკავშირებული საცალო მომსახურებების ინტეგრაციის პროცესს შპს „მაგთიკომის“ ვარაუდით ესაჭიროება 6 თვიდან ერთ წლამდე პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მაგთიკომი“ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში არ გეგმავს მნიშვნელოვან სატარიფო ცვლილებებს.

შპს „მაგთიკომის“ განმარტებით ინტეგრაციის პროცესის დასრულების შემდგომ, ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ხარჯების და კაპიტალდაბანდებების გათვალისწინებით კომპანია განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას და ამ ფაქტორების გათვალისწინებით შესთავაზებს მომხმარებელს მოსახერხებელ და კონკურენტუნარიან ტარიფებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შპს „მაგთიკომს“ მიაჩნია, რომ შპს „მაგთიკომის“ მხრიდან შპს „კავკასუს ონლაინის“ აქტივების შეძენის შემთხვევაში, შენარჩუნდება ბაზარზე არსებული კონკურენცია. ხოლო შპს „მაგთიკომის“ მხრიდან, გრძელვადიან პესპერქტივაში დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელება, ხელს შეუწყობს ინოვაციური მომსახურებების დანერგვას და განვითარებას ქვეყნის მაშტაბით, რაც დარგს გახდის კიდევ უფრო მიმზიდველს და გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს. ყოველივე ეს კი პოზიტიურად აისახება როგორც მომხმარებელზე, ზოგადად დარგის განვითარებაზე და მნიშვნელოვნად გაამძაფრებს კონკურენციას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

შპს „კავკასუს ონლაინის“ საბითუმო საქმიანობა

კომისიის 2015 წლის 29 იანვრის N 57/9 გადაწყვეტილებით ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრზე შპს „კავკასუს ონლაინი“ დადგენილ იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად. ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრი თავის მხრივ წარმოადგენს ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების ვერტიკალური/აღმავალი ბაზრის შესაბამის სეგმენტს.

შპს „კავკასუს ონლაინისა“ და შპს „მაგთიკომის“ მიერ ერთმანეთისათვის შემდეგი საბითუმო რეგულირებადი და არა რგულირებადი მომსახურებების გაწევას აქვს ადგილი:

- ურთიერთჩართვის მომსახურება
- ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურება
- 2 მგბტ/წმ თბილისი-ფრანქფურტი არხის იჯარა
- E1 არხის იჯარ
- პროექტი „ირმის ნახტომისთვის“ DSL მომსახურება

შპს „მაგთიკომის“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ბიზნეს სტარტეგიული გეგმები

1. უახლოესი 6-12 თვის მანძილზე, შპს „კავკასუს ონლაინის“ არსებული საცალო მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებული ქსელის ტექნიკური გაუმჯობესება-მოდერნიზაცია. ამ მიზნებისთვის, შპს „მაგთიკომი“ გეგმავს დაახლოებით 20 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

2. უახლოესი 6-24 თვის მანძილზე, შპს „კავკასუს ონლაინის“ არსებული 42 ათასი DSL აბონენტისთვის, მაღალ-სიჩქარიან (ოპტიკურ-ბოჭკოვან) ინტერნეტზე გადასვლის შეღავათიანი პირობების შეთავაზება;

3. უახლოესი სამი წლის მანძილზე, შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ დაფარული ოთხი დიდი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ფოთი, ზუგდიდი) გარდა, ფიქსირებული ფართოზოლოვანი (ოპტიკურ-ბოჭკოვანი) მომსახურების დამატებით საქართველოს კიდევ 10 ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მომხმარებლებზე შეთავაზება; კერძოდ: ბათუმი, ქუთაისი, ხაშური, მარნეული, გორი, ზესტაფონი, სამტრედია, სენაკი, ოზურგეთი, ქობულეთი. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად, კომპანია გეგმავს სამი წლის მანძილზე 120 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას;

4. მსოფლიო ბაზარზე არსებული ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების დანერგვას საქართველოს ინტერნეტ მომხმარებლებისათვის;

5. ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებაზე და მასთან დაკავშირებულ პროდუქტებზე (IPTV, VoIP) მომხმარებლებისთვის მოქნილი და ხელსაყრელი სატარიფო სისტემის შეთავაზებას;

6. ზემოაღნიშნული სამუშაოების გაწევის შედეგად, უახლოესი სამი წლის მანძილზე, კომპანია გეგმავს დამატებით 60 ათასი ახალი მომხმარებლისათვის ინტერნეტის მომსახურების და დამატებით 40 ათასი ახალი მომხმარებლისათვის ინტერნეტ-ტელევიზიის მომსახურების გაწევას;

7. გარდა ამისა, შპს „კავკასუს ონლაინისა“ და შპს „მაგთიკომის“ ქსელების გაერთიანების შედეგად კომპანია გეგმავს ხარჯების მნიშვნელოვან ოპტიმიზაციას, რომელიც მიიღწევა: (1) არსებული ქსელების ცალკეული ელემენტების სინერგიით კერძოდ, ქირისა და იჯარის ხარჯის შემცირებით, და (2) ორი კომპანიის შიგნით არსებული მაღალკვალიფიციური მმართველობითი რესურსების და ტექნიკური კომპეტენციის ეფექტურად გამოყენებით.

შპს „მაგთიკომი“ აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომის“ მის მიერ დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელების შედეგად, კომპანია გაზრდის საკუთარი სერვისების მრავალფეროვნებას, სერვისთან მისაწვდომობას, მომსახურების დაფარვის გეოგრაფიულ არეალს (მათ შორის სერვისდეფიციტურ რეგიონებში) და მომხმარებელს გაუჩნდება სერვისის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებას საქართველოში.

საცალო მომსახურებებზე დღეს მოქმედი პირობების, მათ შორის: პაკეტების, ტარიფების და სხვა ცვლილებასთან დაკავშირებით შპს „მაგთიკომის“ მოკლე და გრძელვადიანი გეგმები

შპს “მაგთიკომის” მიერ შპს “კაუკასუს ონლაინის” საცალო და კორპორაციული მომსახურების აქტივების შეძენის შემდეგ ის აბონენტები, რომელთაც მომსახურება მიეწოდებათ ე.წ. FTTB ტექნოლოგიით, გააგრძელებენ იგივე ტექნოლოგიით სარგებლობას. ასეთი აბონენტები დღეისათვის წარმოადგენენ შპს “კაუკასუს ონლაინის” აბონენტების დიდ უმრავლესობას. ამასთან, შპს “მაგთიკომი” გეგმავს ამ ტექნოლოგიით იმ აბონენტების უზრუნველყოფასაც, რომელთაც დღევანდელი მდგომარეობით ინტერნეტი შედარებით მოძველებული xDSL ტექნოლოგიით მიეწოდებათ.

გარდა FTTB-სა, აქტიურად იქნება გამოკვლეული და შეფასებული ინტერნეტის მიწოდების სხვა თანამედროვე მეთოდები და პირველ რიგში PON ტექნოლოგია. არჩევანის გაკეთების პროცესში განხილული იქნება თითეული ტექნოლოგიის გამოყენების მიზანშეწონილობა აბონენტების განლაგებიდან, ბაზარზე შექმნილი მდგომარეობიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

სატელევიზიო მომსახურების სფეროში უპირატესობა მიენიჭება აბონენტის ტელევიზიით უზრუნველყოფის მეთოდს IPTV-ს საშუალებით. იმ აბონენტებს, რომლებიც მოძველებული

მიმღებებით (set top box) სარგებლობენ, საშუალება მიეცემათ გამოცვალონ თავიანთი მოწყობილობები ახალი, თანამედროვე მიმღებებით.

შპს „მაგთიკომის“ მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით შპს „კავკასუს ონლაინის“ აქტივების შეძენის შემთხვევაში შპს „მაგთიკომი“ არ გეგმავს არსებული საცალო პაკეტების ტარიფების მნიშვნელოვან ცვლილებას, თუმცა არსებული ტრანზაქცია ერთმნიშვნელოვნად მოისაზრებს შეთავაზების გამრავალფეროვნებას, როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

შპს „მაგთიკომი“ ასევე გეგმავს IPTV-ის პაკეტების მოდერნიზაციას მის მიერ წარმოებული არხების დამატებით. შეთავაზების გამრავალფეროვნების შედეგად მომხმარებელი მიიღებს მის მოთხვნებზე მორგებული პროდუქტების ფართო ასორტიმენტს და მნიშვნელოვნად გაუმარტივდება ურთიერთობა მომსახურების მომწოდებელ ოპერატორთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომს“ უნდა დაევალოს შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს შეძენის შემთხვევაში, უზრუნველყოს შპს „კავკასუს ონლაინის“ აბონენტების ინფორმირება მომსახურების მიმწოდებლის შეცვლის თაობაზე, კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „კავკასუს ონლაინი“ მომხმარებლებს ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურებას Fiber და xDSL ტექნოლოგიით აწვდის. კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინი“ აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ცნობილია საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად. შესაბამისად შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შეძენის შემთხვევაში კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 და 2007 წლის 20 ივლისის N 400/9 გადაწყვეტილებებით შპს „კავკასუს ონლაინისათვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები შპს „მაგთიკომს“ დაეკისრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალებები და აპარატურა, რომელიც გამოიყენება მაუწყებლობის ტრანზიტი (IPTV), ციფრული სატელეფონო (VOIP) და ინტერნეტის საცალო მომსახურების საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის მისაწოდებლად) შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „კავკასუს ონლაინს“, შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენაზე;

2. კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 და 2007 წლის 20 ივლისის N 400/9 გადაწყვეტილებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით შპს „მაგთიკომმა“ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შეძენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისიას აცნობოს მის მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შეძენის შესახებ;

3. განემარტოს შპს „მაგთიკომს“, რომ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენის შემთხვევაში შპს „კავკასუს ონლაინის“ მფლობელობაში არსებული ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გადაცემა უნდა განახორციელოს კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის N 2 დადგენილებით დამტკიცემული „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესების შესაბამისად;

4. დაევალოს შპს „კავკასუს ონლაინს“, შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენის შემთხვევაში, უზრუნველყოს შპს „კავკასუს ონლაინის“ აბონენტების ინფორმირება მომსახურების მიმწოდებლის შეცვლის თაობაზე, კომისიის 2006 წლის 17

მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტით განსაზღვრული წესით. შპს „მაგთიკომმა" უპირობოდ არ უნდა შეცვალოს მომსახურების ტარიფები და პირობები. ცვლილებების განხორციელების შესახებ აბონენტებს უნდა ეცნობოს ახალი ტარიფების ამოქმედებამდე მინიმუმ 1 თვით ადრე;

5. უზრუნველყოს შპს "მაგთიკომმა" შპს „კავკასუს ონლაინის" კუთვნილი საოპერაციო აქტივის შეძენის შემთხვევაში ტარიფების ცვლილების და აქციების შესახებ ინფორმაციის მათ ამოქმედებამდე 10 სამუშაო დღით ადრე კომისიაში წარმოდგენა;

6. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების შპს „კავკასუს ონლაინსთვის" გაგზავნა;

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების დღიდან;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), კომისიის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში;

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე